პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

10 სექტემბერი ოთხშაბათი 1969

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 50-ე წელი ● № 210 (14510)

ხუთწლედი — ვადამდე!

სურათზე ქვემოთ — ქედის რაიონის ხარაულას კოლმეურნეობის მოწინავე მეთამბაქოეები მერი ბანუყაძე და ეუფუნა ბერიძე, რომლებმაც პირობა დადეს სახელმწიფოს ჩაბარონ 600-600 კილოგრამი ხმელი თამბაქო ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 200 კილოგრამისა.

ფოტო ვ. მეთაიფეველისა.

ფოტო რ. კაპანაძისა. (საქედესის ფოტოქრონიკა).

გულითადი მეგზვედრა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მიიღო ბულგარელ მეგობართა დელეგაცია

◆

9 სექტემბერს ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა, გ. ი. ვორონოვმა, კ. ტ. მაზუროვმა, დ. ს. პოლიანსკიმ, მ. ა. სუსლოვმა, ა. ნ. შელეპინმა, ვ. ნ. დემიჩევმა, დ. ფ. უსტინოვმა, ი. ვ. კაპიტონოვმა მიიღეს ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საერთო სახალხო კომიტეტის დელეგაცია ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საერთო სახალხო კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ცოლა დრაგოჩევას მეთაურობით. დელეგაცია საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა ბულგარეთის სოციალისტური რევოლუციის 25 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად.

საბჭოთა ხელმძღვანელები გულთბილად მიესალმნენ ბულგარელი ხალხის წარმოგზავნილთ, მხურვალედ მიულოცეს და საბჭოთა ადამიანების ძმური გრძნობები გამოთქვეს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი დღესასწაულის გამო.

ამხ. ც. დრაგოჩევამ სკკპ ცენტრალურ კომიტეტს საჩუქრად გადასცა სურათი „ბულგარელი ხალხი ეგებება საბჭოთა არმიას — 1944 წლის 9 სექტემბერს“.

საუბარმა გულითად, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

მარადიული მეგზაურობა

8 სექტემბერს კავშირების სახლში გაიმართა მოსკოვის მშრომელთა წარმომადგენლების საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა ბულგარეთის სოციალისტური რევოლუციის 25 წლისთავს. მოსკოვის საწარმოებისა და მშენებლობების მუშები, მეცნიერები, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწენი მხურვალედ მიესალმნენ ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის საყოველთაო-სახალხო კომიტეტის დელეგაციას, რომელსაც მეთაურობს ბულგარეთის კომუნისტური ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, კომიტეტის თავმჯდომარე ცოლა დრაგოჩევა.

საზეიმო კრების პრეზიდიუმში იყვნენ გ. ი. ვორონოვი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ი. ვ. კაპიტონოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ა. ა. მიურისეპი, სხვა სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეები.

კრება გახსნა სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ა. პ. შაპოშნიკოვმა. მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის ფეგზის მეურნეობის მინისტრმა, საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მეგობრობის საზოგადოების ცენტრალური გამგეობის წევრმა ა. ა. იშკოვმა. (საქდესი).

საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმი

მოსკოვი, 9 სექტემბერი. (საქდესის კორ.). დღეს შრომის სასახლეში გაიხსნა საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმი. პლენუმი განიხილავს საკითხს, თუ როგორ სრულდება სოციალისტური ვალდებულებანი, რომლებიც საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივებმა იკისრეს ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად. ამ საკითხზე პირველმა გააკეთა მოხსენება მეტალურგიული მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ ი. ი. კოსტიუკოვმა.



ლენინურ ეპოქის ვარსკვლავ 100

ლანჩხუთელებმა პირობა შეასრულეს

ლანჩხუთი. („კომუნისტი“ კორ.). რაიონის მეჩაიეებმა სიტყვა სამეგულ აქციეს. ვადამდე გაანადგურეს დადებული პირობა. 8 სექტემბრისათვის მათ მოკრიფეს და გადასამუშავებლად ჩაის ფაბრიკებს **ჩაბარეს 10.965 ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 10.900 ტონისა. ლანჩხუთელებმა საშუალოდ ჰექტარზე უკვე მიიღეს 5.000 კილოგრამზე მეტი ჩაის ფოთოლი.**

ამ წარმატებებში ღირსეულ წვლილი შეიტანეს ლაშიელის, გვიმბალაურის, ეწერის, წყალწმინდის, შუხუთის, ქვემო ჩიბათის და ზემო ჩიბათის, შრომისუბნის, ნიგოითის და სხვა სოფლების კოლმეურნეობებმა. ჩაის საბჭოთა მეურნეობამ. ნედლეულის მიღება და გადამუშავება ორგანიზებულად მოაწყეს ჩაის ფაბრიკებმა. განსაკუთრებით კარგად იმუშავა ლანჩხუთის ჩაის ფაბრიკამ.

ლანჩხუთელი მეჩაიეები **ჩაის კრეფას განაგრძობენ და იბრძვიან 400 ტონა ზეგეგმითი ჩაის ნედლეულისათვის.**

ნოგათეები საამშოგლოს

● **ხელო.** („კომუნისტის“ კორ.). რაიონის მშრომელებმა, რომლებიც ჩაბმული არიან ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, ახალ წარმატებას მიაღწიეს. ვადაზე დიდი ხნით ადრე შესრულდა სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მიყიდვის წლიური გეგმები: ხორცისა — 105,9 პროცენტით, კვერცხისა — 149,9 პროცენტით, კურკვანი ხილისა — 289,9 პროცენტით. ხოლო სახელმწიფოსათვის რძის მიყიდვის 9 თვის გეგმა შესრულებულია 106,3 პროცენტით.

● **ჰიათური** სოფლის მშრომელებმა ვადამდე შეასრულეს სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის 9 თვის გეგმები: ხორცისა — 107 პროცენტით, რძისა — 105 პროცენტით.

კომბინირებული საკვების მრეწველობის მუშაკთა მეჯიდილე სიტყვა

საზოგადოებრივი მეცხოველეობის განმტკიცებასა და განვითარებაში დიდ როლს ასრულებენ კომბინირებული საკვების მრეწველობის მუშები, ტექნიკოსები, სპეციალისტები. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ამ დარგის საწარმოთა კოლექტივები შრომობენ სრული პასუხისმგებლობით, ცდილობენ მაქსიმალურად უზრუნველყონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ფერმები — მაღალხარისხოვანი საკვებით.

მათ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად და ჯერ კიდევ იანვარში იკისრეს ვალდებულება გამოუშვან თითხმეტი სახეობის 360 ათასი ტონა პროდუქცია ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 330 ტონისა. ამ გადაწყვეტილებას კომბინირებული საკვების საწარმოთა კოლექტივები წარმატებით ასრულებენ: პროდუქციის გამოშვების ცხრა თვის გეგმა შესრულებულია 101 პროცენტით. გეგმით გათვალისწინებული 243.260 ტონის ნაცვლად წარმოებულია 2.900 ტონით მეტი კომბინირებული საკვები. გამოშვებულია 51.800 ტონა ვიტამინიზებული საკვები ფრინველისათვის. ეს დავალებას 9.800 ტონით აღემატება.

მხარს უჭერენ ელენე კოწიწაშვილის თაოსნობას

□ □

დრო და ტვირთზიდვა

საამშაო დროის ეფექტურად გამოყენებისათვის გაშლილ შეჯიბრებაში ებმებიან ავტოტრანსპორტელები

ავტოტრანსპორტზე დროს ოქროს ფასი აქვს. მისი შომჭირნეობით „ხარჯვა“ დიდ ეფექტს იძლევა. იზოგება საწვავი და დროულად და მაღალხარისხოვნად მარაგდება საჭირო მასალებით სამშენებლო ობიექტები, რომლებსაც ჩვენ ვემსახურებით.

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს № 3 **ავტომსამანსპორტის კოლექტივი ჯერ კიდევ შარშან ჩაება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის გაშლილ შეჯიბრებაში. ვიკისრეთ გაზრდილი ვალდებულებები, და ახლა როცა შეგვიძლია თვალი გადავავლოთ განვლილ გზას, თვალნათლივ ვხედავთ წარმატებებს, რომლებიც დაგვჯილდოა.**

ჩვენ, ავტოტრანსპორტელებმა, ყოველთვის ვიცოდით და ვიცით შეჯიბრების ფასი. დიდი გულისყურით ვეკიდებით თვითეულ ინიციატივას, შეუსწავლელს არ ვტოვებთ მოწინავეთა გამოცდილებას, თამამად ვნერგავთ ჩვენს მუშაობაში საახლებებს.

გავეცანით ელენე კოწიწაშვილის ინიციატივას — ეფექტურად გამოვიყენოთ სამუშაო დროის ყოველი წუთი. — რომელიც გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე დაიბეჭდა ავტორდავწონეთ ჩვენი შესაძლებლობანი და გადავწყვიტეთ ჩავებმათ ამ შეჯიბრებაში, რომელიც ვ. ი. ლენინის იუბილეს ეძღვნება.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად სიხარულით ვაგიკითხეთ ცნობა იმის შესახებ, **რომ საიუბილეო სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღწეული წარმატებებისათვის ჩვენი კვეესის მშრომელები კიდევ ერთ სტიმულს მიიღებენ. მოწინავენი დაჯილდოვდებიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს ლენინური საიუბილეო საპატიო სიგელით და საიუბილეო medlით „მამაცური შრომისათვის“. ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად“. შრომა ამ საპატიო ჯილდოთა მოკოვეებისათვის უფრო მიზანდასახული და დამკვრელური ხდება.**

ჩვენ, ავტოტრანსპორტელები, ვებმებით რა შეჯიბრებაში, ვკისრულობთ თავდადებით ვიშრომოთ მიმდინარე ხუთწლედში და **მოვუფროდებთ რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა, სატრანსპორტო ორგანიზაციათა კოლექტივებს, სოფლის მშრომელთ იბრძოლონ ამ საპატიო ჯილდოების მოკოვებისათვის.**

ვკისრულობთ: წლიური დავალება შეგასრულოთ 28 დეკემბრისათვის და ადრე ნაკისრი 25 ათასი ტონის ნაცვლად სამშენებლო ობიექტებზე დამატებით მივზიდოთ 10 ათასი ტონა სხვადასხვა ტვირთი. მივიღოთ 23.400 მანეთი მოგება, რაც ადრე ნაკისრს 6.400 მანეთით აღემატება; თვითეული მუშაკის შრომის ნაყოფიერება 5 პროცენტის ნაცვლად ავამაღლოთ 7 პროცენტით, 1,2 პროცენტით შევამციროთ თვითეული ტონა-კილომეტრის ღირებულება; წლის ბოლომდე დავზოგოთ 15 ათასი ლიტრი საწვავი და ამ გზით 1.050 მანეთი მოგება. მივცეთ ქვეყანას. მაქსიმალურად გამოვიყენოთ შემხვედრი ტვირთების გადაზიდვა, რითაც ტრანსპორტის გარბენის გამოყენების კოეფიციენტი გავზარდოთ 0.5 პროცენტამდე.

თვითეულ მანქანაზე ავტომისამმელების ფართოდ გამოყენებით ავამაღლოთ შრომის ნაყოფიერება, შევამციროთ საწვავ-საცხები მასალებისა და სათადარიგო ნაწილების ხარჯვა, ეფექტურად გამოვიყენოთ თვითეული ავტომანქანის ტვირთამწეობა და უმაღლეს დონეზე ავიყვანოთ სამშენებლო ობიექტების მომსახურება

№ 3 ავტოსატრანსპორტო კანტორის კოლექტივის სახელით: ი. იაკულოვი, კანტორის უფროსის მოადგილის შემსრულებელი, მთავარი ინჟინერი; ფ. ბეჩაპძე, პარტიბიუროს მდივანი; ო. ლოლიაშვილი, აღგილკომის თავმჯდომარე; ლ. აფციაური, დ. ტუნტურიშვილი, მძღოლები.

იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრი კ. აიტი სსრ კავშირში

1969 წლის 4-9 სექტემბერს საბჭოთა კავშირში საბჭოთა მთავრობის სტუმრად იყო იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრი კიიტ აიტი.

კ. აიტი იყო მოსკოვსა და ლენინგრადში, გაეცნო ამ ქალაქების კულტურულ დაწესებულებებსა და საბჭოთა ხალხის ცხოვრების ზოგიერთ მხარეს. მინისტრს სტუმარმოყვარულად შეხვდნენ. რაც გამოხატავს საბჭოთა ხალხის ეთილ გრძნობებს იაპონელი ხალხისადმი, თავისი მეზობლისადმი.

იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრი მიიღო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა და მეგობრულად ესაუბრა. საუბრის დროს მათ განიხილეს საბჭოთა კავშირ-იაპონიის ურთიერთობის საკითხები და ზოგიერთი საერთაშორისო პრობლემა.

კ. აიტი შეხვდა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ა. ა. გრომიკოს, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილეს ვ. ვ. კუზნეცოვს.

შეხვედრებისა და საუბრების დროს გაიმართა აზრთა გულახდილი და სასარგებლო გაზიარება საბჭოთა კავშირისა და იაპონიის ურთიერთობის საკითხებზე, აგრეთვე ორივე ქვეყნისათვის საინტერესო მთელ რიგ საერთაშორისო პრობლემებზე. მხარეებმა ჩამოაყალიბეს თავიანთი აზრი განხილულ საკითხებზე. მათ კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ უკანასკნელ წლებში გაფართოვდა სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობა სსრ კავშირსა და იაპონიას შორის, განვითარდა კულტურული, მეცნიერულ-ტექნიკური და სხვა ურთიერთობა, აგრეთვე დამყარდა კონტაქტები პოლიტიკურ დარგში. დადასტურეს, რომ ორივე მხარეს სურს კვლავაც განამტკიცონ ორი ქვეყნის კეთილმეზობლური ურთიერთობა. მნიშვნელოვანი აუარადღება დაეთმო აზიისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და უშიშროების პრობლემებს.

ერთნაირია მხარეთა აზრი იმის თაობაზე, რომ აზრთა გულახდილი გაზიარება როგორც იმ საკითხებზე, რომლებიც ეხება ორივე ქვეყანას — იაპონიასა და საბჭოთა კავშირს, ისე საერთაშორისო საკითხებზე, იმ შემოხვევაშიც კი, როცა სხვადასხვაა მხარეთა პოზიციები ამ საკითხებში, ხელს შეუწყობს ორივე ქვეყანას შორის ურთიერთობის გაღრმავებას. ამ მიზნით მხარეები შეთანხმდნენ კვლავაც გაუზიარონ ერთმანეთს აზრები ორივე მხარისათვის საინტერესო საკითხებზე.

მხარეებმა სასარგებლოდ მიიჩნიეს სსრ კავშირისა და იაპონიის სახელმწიფო მოღვაწეთა კონტაქტები და განაცხადეს, რომ მზად არიან შემდგომშიც განაგრძონ ეს კონტაქტები.

ხო ში მინის ხსოვნის უკვდავსაყოფად

საქართველოს სსრ კომუნისტური, მუშათა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის, ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის, საბჭოთა კავშირის მეგობრის ამხანაგ ხო ში მინის ხსოვნის უკვდავსაყოფად და საბჭოთა ადამიანების ხელვლის შესაბამისად მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა გადაწყვიტა ქალაქ მოსკოვის ერთ-ერთ ახალ მოედანს უწოდოს ხო ში მინის სახელი;

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების საამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება ხო ში მინის სახელი მიანიჭოს ირკუტსკის უცხო ენათა პედაგოგიურ ინსტიტუტს;

სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის სამინისტრომ გადაწყვიტა ხო ში მინის სახელი დაარქვას ერთ-ერთ მშენებარე ლაინერს.

• • •

ამხანაგ ხო ში მინის დაკრძალვის დღეს — ამა წლის 9 სექტემბერს მოსკოვში, ლენინგრადში, მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებსა და სხვა ქალაქებში გამოფენენ სამგლოვიარო ალმებს.

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲨᲘ

ჩვენს რესპუბლიკაში ჩამოვიდა რეიუნიონის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომელშიც შედიან რეიუნიონის კომპარტიის პოლიტბიუროს წევრი, რეიუნიონის კომპარტიის მდივანი ბრიუნო პაიეტი, რეიუნიონის კომპარტიის პოლიტბიუროს წევრი, რეიუნიონის კომპარტიის მდივანი არისტ ბოლონი და რეიუნიონის ავტონომისტური ახალგაზრდობის ფრონტის გენერალური მდივანი ელი ოარო. დელეგაცია საბჭოთა კავშირში იმყოფება სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწვევით პარტიული მუშაობის გამოცდილების ურთიერთგაზიარების და საბჭოთა ხალხის ცხოვრების გაცნობისათვის.

9 სექტემბერს დელეგაცია მიიღეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა პ. ა. როდიონოვმა დელეგაციის წევრებს გააცნო რესპუბლიკის ეკონომიური და კულტურული განვითარება, საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ორგანიზაციული სტრუქტურა და მუშაობის პრაქტიკა, უპასუხა რეიუნიონელი ამხანაგების კითხვებზე.

ამხ. ბრიუნო პაიეტმა მადლობა გადაიხადა გულთბილი მიღებისათვის, ყურადღებისათვის, რომელიც დელეგაციისადმი გამოიჩინეს. საბჭოთა კავშირი, თქვა მან, უზარმაზარი ქვეყანაა და ჩვენ ვცდილობთ რაც შეიძლება საფუძვლიანად შევისწავლოთ იგი. საქართველოს მაგალითი გვიჩვენებს, განაგრძო ბ. პაიეტმა, თუ რა წარმატებებს მიაღწიეს საბჭოთა ადამიანებმა. თქვენი წარმატებანი ჩვენი წარმატებებიც არის. ისინი ახალ ძალებს გვმატებენ, შთაგვაგონებენ ჩვენს ბრძოლაში ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის. ამ ბრძოლაში, რომელსაც სათავეში უდგას ჩვენი კომუნისტური პარტია, ჩვენ მხარს გვიჭერენ მთელი ხალხი, მსოფლიოს მთელი პროგრესული ძალები და, უწინარეს ყოვლისა, საბჭოთა კავშირი, ლენინის დიადი პარტია.

ამხ. ბ. პაიეტმა ილაპარაკა რეიუნიონის მშრომელთა მდგომარეობაზე, ბრძოლაზე, რომელსაც ისინი ეწევიან კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით თავიანთი საარსებო უფლებებისათვის, კოლონიური ბატონობის წინააღმდეგ, უკეთესი მომავლისათვის.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები ი. ნ. ციცი-შვილი, ვ. ბ. ღუდუშაური, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის მოადგილე ვ. ა. საკსაბანსკი. (საქდესი).

ᲞᲠᲝᲞᲐᲒᲐᲜᲓᲘᲡᲢᲗᲐ ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘ

თბილისში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის პოლიტიკური განათლების რესპუბლიკურ სასწავლებელში გაიხსნა მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლების პროპაგანდისტთა გადამზადების რესპუბლიკური ზონალური კურსები.

პირველ დღეს მსმენელებისათვის ლექცია „თანამედროვე ეტაპზე იდეოლოგიური მუშაობის ამოცანები“ წაიკითხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ფ. სტერუმ.

პარტიული განათლების ქსელში ახალი სასწავლო წლისათვის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის მოსამზადებელი მუშაობის შესახებ ილაპარაკა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივანმა შ. ყარყარაშვილმა.

მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის განვითარების ლენინურ ეტაპს მიუძღვნა მოხსენება თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის კათედრის გამგემ დოცენტმა ა. ჟვანელიამ.

კურსების მეცადინეობა ხუთ დღეს გასტანს.

ანალოგიური კურსები მოეწყო სოხუმში, ბათუმში, ქუთაისში, ცხინვალში, თელავში, გორსა და ფოთში. (საქდესი).

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲙᲘᲜᲝᲛᲐᲢᲝ�გᲠᲐᲤᲘᲡᲢᲗᲐ ᲖᲔᲘᲛᲘ

8 სექტემბერს თბილისის რკინიგზელთა სახლში გაიმართა საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა კინოს 50 წლისთავს.

დარბაზში შეიკრიბნენ საქართველოს კინემატოგრაფისტები, კინოფესტივლის მუშაკები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ **შ. სალარიძემ.**

უხუცესი საბჭოთა კინორეჟისორის, სსრ კავშირის სახალხო არტისტის **მ. ჭიაურელის** წინადადებით შეკრებილებმა სხდომის საპატიო პრეზიდიუმში ერთსულოვნად აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო.

მოხსენება „საბჭოთა კინოს 50 წელი“ გააკეთა საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის თავმჯდომარემ. სსრ კავშირის სახალხო არტისტმა **ს. დოლიძემ.**

ოფიციში გახსნილი იყო ფოტოგამოფენა, რომელიც ასახავს ქართული კინოს განვითარების გზებს.

სხდომას დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **დ. სტურუა,** საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე **ლ. ჩხიკვიშვილი,** საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივანი **შ. ყარყარაშვილი.**

საღამოს დასასრულს გაიმართა კონცერტი საქართველოს თეატრალურ-მონაწილეობა მსახიობთა მონაწილეობით. (საქდესი).

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ

ᲡᲐᲖᲔᲘᲛᲝ ᲙᲠᲔᲑᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ

◆

„მეგობრობა“, „ძმობა“, „ერთობა“. ეს სიტყვები გაისმოდა 9 სექტემბერს თბილისის საზოგადოებრიობის კრებაზე, რომელიც ბულგარეთის სოციალისტური რევოლუციის 25 წლისთავს მიეძღვნა.

...საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოება. დარბაზი მორთულია ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ალმებით. აქ შეიკრიბნენ საწარმოთა და დაწესებულებათა კოლექტივების, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების წარმომადგენლები, საბჭოთა არმიის მეომრები, მოხუცები ახალგაზრდობა.

კრება გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივანმა შ. ყარყარაშვილმა. მან თქვა, რომ მომავ ბულგარელი ხალხის დღესასწაული ყველა საბჭოთა ადამიანის, მარქსიზმ-ლენინიზმის უკვდავი იდეების გამარჯვებისათვის მებრძოლი სოციალისტური ქვეყნების ყველა მშრომელის დღესასწაულია.

მოხსენება — „სახალხო ბულგარეთი მეოთხედი საუკუნისაა“ გააკეთა საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ პროფესორმა ი. ურუშაძემ.

პარფიუმერიის ფაბრიკის „ივერიის“ მუშამ ლ. არბოლიშვილმა, საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მეგობრობის საზოგადოების განყოფილების გამგეობის წევრმა ჟურნალისტმა ა. კოკლაშვილმა, უნივერსიტეტის სტუდენტმა მ. სურგულაძემ ბულგარელ ხალხს გულითადად მიესალმა ქვეყნის სახელოვანი იუბილე, უსურვეს ახალი წარმატებანი სოციალისტურ მშენებლობაში სამშობლოს საკეთილდღეოდ, საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის ურღვევი და ცხოველმყოფელი მეგობრობის შემდგომი განვითარებისათვის.

კრების მონაწილეებმა მიიღეს მისალმება ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის სრულიად სახალხო კომიტეტისადმი. (საქდესი).

პარტიული ქრონიკები

საქალაქო კომიტეტის პლენუმზე

ბიმართა საქართველოს კპ ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა პირველადი პარტიული ორგანიზაციების დადგენილებათა შესრულების საქმეში კომუნისტების პასუხისმგებლობის ამაღლების ღონისძიებათა საკითხი. მოხსენებით გამოვიდა პარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი მ. დემურია.

პლენუმმა იგრეთვე მოისმინა პარტიის საქალაქო კომიტეტის წევრის, საქალაქო კომიტეტთან არსებული საკა რიგების მიღებისა და კომუნისტთა პერსონალური საქმეების წინასწარგანხილვის შტატგარეშე კომისიის თავმჯდომარის ვ. ჯინჭოლავის ანგარიში.

განხილულ საკითხებზე პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილებანი.

ზ. დგებუაძე,

„კომუნისტის“ შტატგარეშე კორ.

ანგარიშს აგარეგს რაიკომი

ახმეტის მეკენახეობის საბჭოთა მეურნეობის პირველადი პარტორგანიზაციის კრებამ მოისმინა პარტიის ახმეტის რაიკომის პირველი მდივნის ა. ბატიაშვილის ინფორმაცია რაიკომისა და მისი ბიუროს მიერ მიმდინარე წლის ნახევარში გაწეული მუშაობის შესახებ.

ანგარიშგამოთქვეს კომუნისტებმა: ა. ჭაბაშვილმა, გ. ზასეშვილმა, თ. ბაგაურმა, შ. მარუქაშვილმა, გ. ბეღანაშვილმა, შ. ალბორიშვილმა, შ. უთურგაიძემ და სხვებმა. ორატორებმა აღნიშნეს, რომ ასეთი ანგარიშგების პრაქტიკა ხელს შეუწყობს პარტიის რაიკომისა და პირველადი ორგანიზაციების მჭიდრო კონტაქტებს, აამაღლებს კომუნისტთა მაორგანიზებელ როლს.

ე. ლებანიძე,

ახმეტის რაიგაზეთ „ბახტრიონის“ რედაქტორის მოადგილე.

თათბირ-სემინარი

ამბროლაური. (ხაკ. კორ.). **აქ გაიმართა ხაკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების თათბირ-სემინარი.**

მოხსენება თემაზე „სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდების პროექტი და საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციებ ი ს ამოცანები“ გააკეთა პარტიის ამბროლაურის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგემ ვ. სახვაძემ.

თათბირ-სემინარის მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი მუშაობის გამოცდილება.

უფრო ქმედითი გაზეთისათვის

ბალი. (საკ. კორ.). **რაიონის მშრომელთა მორის პოპულარობით სარგებლობს რაიგაზეთი „ლენინელი“. მის ფურცლებზე ფართოდ შუქდება სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საკითხები, პარტიული ორგანიზაციების ცხოვრება, ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის იუბილესათვის მზადება.**

ამას წინათ პარტიის ბალის რაიკომის პლენუმმა მოისმინა და განიხილა გაზეთ „ლენინელის“ რედაქტორის მ. ჭკადუას ანგარიში მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში რაიონული გაზეთის როლის ამაღლების თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად გაწეული მუშაობის შესახებ.

პლენუმმა განხილულ საკითხზე მიიღო სათანადო დადგენილება.

ᲙᲠᲔᲓᲘᲢᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ

წინასაუბილეო ლენინიანა

რაც უფრო ახლოვდება ღირსშესანიშნავი თარიღი — ვ. ი. ლენინის დაბადების ასი წლისთავი, მით უფრო მკაფიოდ ჩანს ლენინური თემა ჩვენს პრესაში.

საოლქო გაზეთი **„საბჭოთა ოსეთი“** ყურადღებას ამახვილებს დიდი ბელადის ცხოვრებისა და მოღვაწეობის, ჩვენი ეკონომიკის აღმავლობის, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მუშაობის, მშრომელთა აღზრდის, ყოფისა და დასვენების საკითხებზე.

მუდმივი რუბრიკების ქვეშ: „ლენინურ შრომთის ვახტზე“, „ვ. ი. ლენინის დაბადებისწ ასი წლისთავისათვის“ და სხვ. ქვეყდება მასალები, რომლებიც მოგითხრობენ სხვადასხვა პროფესიის ადამიანთა შრომითს მიღწევებზე, ყოველივე ახალსა და საინტერესოზე, რაც კი იბადება იუბილეს აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების მსვლელობაში.

ამწლაგით „მაშრომტენი ლენინურ ადგილებში“ გაზეთში გამოქვეყნდა მისი სპეციალური კორესპონდენტის ი. გაბაეფის ვრცელი ნარკვევი, რომელშიც გადმოცემულია მოსკოვსა და ლენინგრადში ლენინური ადგილების დათვალიერებით მიღებული შთაბეჭდილებანი. გაზეთის ორი ნომრის მიდაგაშლილი გვერდები მიეძღვნა მოსკოვის ოლქის ლენინურ ადგილებს და დიდი ბელადის მშობლიურ ქალაქს, რომლებიც საოლქო გაზეთების „ლენინსკოე ზნამიას“ და „ულიანოვსკაია პრავდის“ რედაქციებმა მოამზადეს „საბჭოთა ოსეთისათვის“.

გაზეთი პეროიოდულად უშვებს „ლენინურ ფურცლებს“, რომლებიც ყურადღებას იქცევენ თემატური მრავალფეროვნებით.

ამას წინათ „საბჭოთა ოსეთმა“ ორი გვერდი მიუძღვნა მთიანი ყარაბაღის ოლქის ადამიანთა თავდადებულ შრომას სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. რედაქციამ ამით კარგი საქმე გააკეთა, რადგან საბჭოთა ოსეთის მშრომელებს ინტერესებთ წინასაიუბილეო მზადება ოლქისა, რომელთანაც მათ მრავალი წლის მეგობრობა და სოციალისტური შეჯიბრება აკავშირებთ.

მკითხველთა დიდ ინტერესს იწვევს რევოლუციის ვეტერანთა მოგონებანი, შეხვედრები ლენინთან. წელს გაზეთის რამდენიმე ნომერში დაიბეჭდა ლენინის უახლოესი მეგობრისა და თანამებრძოლის ნ. კრუპსკაიას მოგონებანი ილიჩზე. გამოქვეყნდა მ. ცხაკაიას „შეხვედრები ლენინთან“ და სხვ.

„საბჭოთა ოსეთი“ სისტემატურად ბეჭდავს სტატიებს ლენინის მდიდარ თეორიულ მემკვიდრეობაზე. მის ფურცლებზე წერილებით გამოდიან სოლო კომიტეტის, რაიკომების მდივნები, მწერლები, მეცნიერები, მოწველეები და სოფლის მეურნეობის მუშაკები, ეკონომისტები.

გაზეთ „საბჭოთა ოსეთის“ მიერ გამოქვეყნებულ მრავალფეროვან მასალებში ნათლად ჩანს სოციალისტური წყობილების უდიდესი უპირატესობა, ხალხთა მეგობრობის მძლავრი სასიცოცხლო ძალა, კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის ზეიმი.

ლენინს უნდოდა ენახა ჩვენი ქვეყანა მაღალგანვითარებული, ყაყაგებული. მისი ოცნება ახდა. რად ღირს მარტო რუსთაველ მაგალითი.

მეტალურგთა და ქიმიკოსთა ახალგაზრდა სოციალისტური ქალაქი ახლა ლენინურ შრომითს ვახტზეა და ღირსეულ საჩუქრებს უმზადებს იუბილეს. ქალაქის ყოველდღიურ მაჯისცემაზე, მის ადამიანთა თავდადებულ შრომაზე, მრავალეროვანი ქალაქის ადამიანთა მეგობრობაზე, ლენინური იდეების გამარჯვებაზე მოუთხრობს კიროველ გაზეთი **„სოციალისტური რუსთავი“.**

ახალი წლის დამეგიდან ლენინურ შრომითს ვახტზე თვალსაჩინო წარმატებებს აღწევს რუსთავის მეტალურგიული ქარხანა. ეგი განუწყვეტელი ციკლის საწარმოა და აქ დღედღეობ არ წყდება შემოქმედებითი შრომა. ახალი ეკონომიური რეფორმის პირობებში მეტალურგები ცდილობენ რაციონალურად გამოიყენონ დრო მეტი, მაღალხარისხოვანი პროდუქციის მისაღებად.

„სოციალისტურ რუსთავში“ ხშირად იბეჭდება მასალები მეტალურგთა სასახელო შრომითი საქმიანობის შესახებ. ერთ-ერთ ნომერში რედაქციამ მკითხველს მოუთხრო, თუ როგორ მუშაობენ მეტალურგები მაშინ, როცა ქალაქს სძინავს.

წარსულის საინტერესო ფურცელს აცოცხლებს მიმდინარე წელს ქიმიკოსთა დღესასწაულთან დაკავშირებით გამოქვეყნებული გაზეთის გვერდები ანშლაგით: „ლენინი — საქართველოს საპატიო ქიმიკოსი“. 1923 წელს ივნისს შუშის ქარხნის კოლექტივმა ლენინს გაუგზავნა მისალმება, რომლითაც აუწყებდა, რომ მისი სახელი ეწოდებ თავიანთ ქარხანას. ამასთანავე მუშებმა ბელადი საწარმოს უფროს ოსტატად აირჩიეს და შეჰპირდნენ, რომ მის ხელფასს წერაკითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას მოახმარდნენ. გაზეთი წერს, რომ ბელადისადმი მიცემული პირობა შესრულებულია, დღეს ავჭალის ვ. ი. ლენინს სახელობის შუშის ქარხანაში 500-მდე კაცი მუშაობს, ამათგან ოთხმოცდაათი ინჟინერია, ათი ტექნიკოსი, სამასზე მეტი საშუალო განათლებით არის, ხოლო დანარჩენი მუშა-ახალგაზრდობის საშუალო სკოლებში სწავლობს. 1923 წელს კი ქარხანაში, მომუშავეთა ოთხმოცი პროცენტი წერა-კითხვის უცოდინარი იყო. გაზეთის შიდა გაშლილ გვერდებზე ლაბარაკია, თუ როგორ ეგებებიან ავჭალელები ლენინურ იუბილეს, როგორ შრომობენ და იმარჯვებენ ისინი ლენინის სახელით.

ულიანოვსკის, ყაზანისა და საქართველოს პროპაგანდისტ მუშაკთა მეგობრობისა და საქმიანი შეხვედრების კვირეულთან დაკავშირებით გაზეთში თავისი 24 ივნისის შიდაგაშლილი გვერდები მიუძღვნა ულიანოვსკსა და ყაზანს.

რუსთაველ ცხოვრობენ და შრომობენ ორმოცზე მეტი ეროვნების წარმომადგენლები. თუ რა სასწაულებს ახდენს მეგობრობის ძალა, ამაზე მოთხრობილია საქართველოს კპ რუსთაველ საქალაქო კომიტეტის მეორე მდივნის ო. წვარავას სტატიაში, რომელიც გაზეთის 16 აგვისტოს ნომერში დაიბეჭდა.

კარგად აშუქებს ლენინური იუბილესათვის მზადების მიმდინარეობას ყაზბის რაიონული გაზეთი **„ბანთიადი“.** მისი რედაქცია ეწევა სასარგებლო მუშაობას რაიონის მშრომელთა დასარაზმავად წინასაიუბილეო სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებისათვის. „ლენინურ შრომთის ვახტზე“, „ყასპელთა ლენინიანა“, „ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის“, „ლენინის დროშა დაგვნათის“... ეი არაჩვეულებრივი ჩამოთვლა ამ რუბრიკებისა, რომლებიც მოდმივად გვხვდება რაიონული გაზეთის ფურცლებზე.

გაზეთში მოთავსებული მასალები ცხადყოფენ რაიონის ეკონომიკის ზრდას. სპეციალური გვერდები მიეძღვნა ქარხანა „კასპელექტროაპარატის“, ოკამის სამეურნეოებისა და სხვა შრომითი კოლექტივების შემოქმედებითის მუშაობას, რაც მიმართულია ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისადმი.

„განთიადის“ ფურცლებზე თვალსაჩინო ადგილი დაიკავა ჭვირფასმა მასალამ ბოლოს რედაქციის სტუმარი იყო საოლქო გაზეთი „ულიანოვსკაია პრავდა“, ხოლო ივლისის ბოლოს — საოლქო გაზეთი „სოვეტსკაია ტატარია“. მათ კასპელ მშრომელებს „განთიადის“ ფურცლებზე ვრცლად მოუთხრეს ულიანოვსკისა და ყაზანის წინასაიუბილეო მზადებაზე.

მიიკვლევს რაიონულ გაზეთ **„ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲓᲠᲝᲨᲘᲡ“** ფურცლებზე სისტემატურად იბეჭდება ღირსშესანიშნავი თარიღისადმი მიძღვნილი მასალები. წერილებში, კორესპონდენციებში, ინფორმაციებში ხაზი აქვს გასმული მშრომელთა წინასაიუბილეო საქმეებს.

— ხუთწლიდის მეოთხე წელი,— წერდა ამ სამი კვირის წინათ გაზეთი, — ხალხთა დიდი ბელადის — ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის იუბილეა ღირსშესანისთვის მზადების წელია. დიდი იუბილეს შესახვედრად სამეურნეო წლის დასაწყისიდანვე გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება. გადიდებული ვალდებულებები იკისრეს მეგვნახეებმა. მათ გადაწყვიტეს საშოალოდ ჰექტარზე მიიღონ 35 ცენტნერი ყურძენი, ვეგმა კი 31 ცენტნერს ითვალისწინებს.

ყურძნის ბარაქიანი მოსავლისათვის ენერგიული შრომა გაჩაღეს... ბეჯითი შრომის შედეგი უკვე არის. ვაზს ყველგან უხვად ასხია და ეს საშოალებას მისცემს რაიონს იბრძოლოს 11 ათასი ტონა ყურძნისათვის.

ასე რაიონის მეცხოველეობაშია საერთოდ საქმე ცუდად.

სოფლის მეეურნეობასა და მრეწველობას [illegible] ამ[illegible] [illegible] [illegible] [

ვიეტნამი
პოსოვეგა ხო ში მინს

ჰანოი, 9 სექტემბერი. საკდესის კორესპონდენტი ს. აფონინი გვატყობინებს:

დღეს დილით ჰანოის ბადინის მოედანზე გაიმართა ამხანაგი ხო ში მინთან გამოთხოვების სამგლოვიარო ცერემონია.

მოედანი ხალხით იყო გაჭედილი.

ტრიბუნაზე ამხანაგ ხო ში მინის სამგლოვიარო არშიშემოვლებული დიდი პორტრეტის ქვეშ დამწყობილი დგანან ვიეტნამის შრომელთა პარტიის, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის, ვიეტნამის ეროვნული კრების, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის, ვიეტნამის სამამულო ფრონტის, ვიეტნამის სახალხო არმიის, სამხრეთ ვიეტნამის დელეგაციათა მეთაურებთან ერთად, რომლებიც ჰანოიში ჩამოვიდნენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან სამგლოვიარო ცერემონიაში მონაწილეობის მისაღებად.

საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის მეთაური, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი და საბჭოთა დელეგაციის წევრები სამძიმარს ეუბნებიან ვიეტნამელ ამხანაგებს ვიეტნამის შრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის ხო ში მინის — საბჭოთა კავშირის დიდი და ერთგული მეგობრის გარდაცვალების გამო.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქში შეჩერებულია მუშაობა მშენებლობებზე, საწარმოებში, დაწესებულებებსა და სასწავლებლებში. ჰანოის მცხოვრებლები ამ წუთებში რამროდუტორებთან დგანან. ყველა ბადინის მოედანს უსმენს.

სამხედრო ორკესტრი ასრულებს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნსა და სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის ჰიმნს.

ვიეტნამის შრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით გამოსათხოვარ სიტყვას ამბობს ვიეტნამის შრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ტოდორ ჟივკოვი, სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარე გიორგი ტრაიკოვი, სხვა ბულგარელი ხელმძღვანელები, საბჭოთა კავშირის სპეციალისტები, ბულგარეთის ხოციალისტური რევოლუციის 25 წლისთავის გამო დღეს აქ გაიმართა სამხედრო პარადი და შრომელთა დემონსტრაცია. გიორგი დიმიტროვის მავზოლეუმის ტრიბუნაზე იყვნენ ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ტოდორ ჟივკოვი, სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარე გიორგი ტრაიკოვი, სხვა ბულგარელი ხელმძღვანელები, საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის მეთაური, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი და საზღვარგარეთის სხვა დელეგაციათა მეთაურები, რომლებიც ზეიმზე ჩამოვიდნენ ბულგარეთში.

სადღესასწაულოდ მორთულ მოედანზე ჩაიარეს ბულგარეთის სახალხო არმიის ყველა გვარეობის ჯარების ნაწილებმა.

პარადის შემდეგ გაიმართა სოფიის შრომელთა დემონსტრაცია.

ეხმარებიან ნეონაციზმს, ოლიგარქია
ეროვნული ბანკი-ოლიგარქია
ეხმარებიან აგრესორს
ნეონაციზმს ბოლიციია იცავს

ბონი, 8 სექტემბერი. (საკდესი). მაშინ, როცა ისრაელი განაგრძობს აგრესიას არაბული ქვეყნების წინააღმდეგ და მათი ტერიტორიების ოკუპაციას, ამერიკის შეერთებული შტატები კი „ფანტომის“ ტიპის ათიგამანადგურებელ ბომბდამშენებს აწვდის მას, ეს მიწმობს, რომ საშიშად ვითარდება მოვლენები ახლო აღმოსავლეთში, განაცხადა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა.

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა მოელოდა, თქვა მან შემდეგ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები, რომელსაც, როგორც დიდ სახელმწიფოს ეკისრება პასუხისმგებლობა მთელი მსოფლიოს მშვიდობის შენარჩუნებისათვის, შეწყვეტდა ისრაელის იარაღით მომარაგებას. მაგრამ ეს არ მომხდარა, და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ისრაელისათვის „სკაიჰოკის“ ტიპის თვითმფრინავების მიწოდების შემდეგ დაიწყო „ფანტომების“ მიწოდება.

განსაკუთრებულ საშიშროებას, ხაზგასმით აღნიშნა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა, ამერიკის იარაღის მიწოდება ისრაელისათვის წარმოადგენს ის, რომ ისრაელმა უარი თქვა შეასრულოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 1967 წლის 22 ნოემბრის რეზოლუცია, დასახული აქვს არაბული ტერიტორიების ანექსიის გეგმა, გაახშირა ავიაციის თავდასხმები არაბულ ქვეყნებზე.

საზღვაო პატრულების შეტაკება

კაირო, 8 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ 20 კილომეტრზე სუეცის სამხრეთ-აღმოსავლეთით მოხდა შეტაკება ეგვიპტისა და ისრაელის საზღვაო პატრულებს შორის. ბრძოლის დროს ეგვიპტელებმა ისრაელის ორი სატორპედო კატარღიდან ერთი კატარღა ეკიპაჟიანად ჩაძირეს.

ბონი, 8 სექტემბერი. საკდესის კორესპონდენტი ი. ბორისოვი იუწყება:

ბონის „ბეთხოვენ-ჰალეს“ უდიდესი დარბაზი გუშინ სალამოს ალყაშემორტყმულ ციხე-სიმაგრეს ჰგავდა. მას გარს ეკრა რკინის გისოსებისა და ეკლიანი მავთულის ორმაგი ბარიერი. წრის შიგნით თავი მოეყარათ ხუთასამდე პოლიციელისათვის. ყველა ეს საგანგებო ღონისძიება განხორციელდა იმისათვის, რომ დაეცვათ ნეონაციზტური ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის მორიგი წინასაარჩევნო თავყრილობა, რომელზეც მთავარი ორატორი იყო ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის ფიურერი ფონ ტადენი. დასავლეთ გერმანიის მხარეების შინაგან საქმეთა მინისტრებმა ამ დღეებში პოლიციას განკარგულება მისცეს ნეონაცისტებისათვის უზრუნველეყოთ წინასაარჩევნო მიტინგების შეუფერხებელი მოწყობა.

მიუხედავად ამისა, ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის ბონის თავყრილობა სრული ჩაფუშვით დამთავრდა, როგორც კი სცენაზე ფონ ტადენი და მისი დაახლოებული პირები გამოჩნდნენ, შეარბიელნი მათ ხმამაღალი სტვენით შეხვდნენ. ხოლო როცა ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის მეთაური ტრიბუნაზე ავიდა, დარბაზში არაჩვეულებრივი ხმაური დაიწყო. გამაყრუებელი სტვენა, ფეხების ბრაგუნი, ხმამაღალი ძახილი: „ნაცისტებო, წაეთრიეთ ბონიდან“ მთელ საათს გრძელდებოდა, სანამ ფონ ტადენი კითხულობდა თავის წინასაარჩევნო სიტყვას. როგორც ეს ხატოვნად შენიშნა შვედმა ჟურნალისტმა, ტადენის ნათქვამი „მის პირად საიდუმლოდ“ დარჩა, რადგან გამოსვლის არც ერთი სიტყვის გაგება არ შეიძლებოდა. ბოლოს და ბოლოს ფონ ტადენი იძულებული გახდა შეეწყვიტა სიტყვა და დარბაზი დაეტოვებინა.

დარბაზში პოლიცია სასტიკად გაფსწორდა იმით, ვინც დასავლეთ გერმანიაში ნეონაცისტური საშიშროების ზრდის წინააღმდეგ პროტესტის გამოსათქმელად მოვიდა. პოლიციელები მოქმედებდნენ ტადენის ახლადმოვლენილ მოიერიშეებთან ერთად.

ლიბიის ახალი მთავრობა

კაირო, 9 სექტემბერი. (საკდესი). როგორც შენის სააგენტო იუწყება, ლიბიაში შეიქმნა ახალი მთავრობა. მთავრობას მეთაურობს მამმუდ სულეიმან ალ-მაღრიბი. მას უკავია აგრეთვე ფინანსთა, სოფლის მეურნეობისა და აგრარული რეფორმის მინისტრის პოსტები.

საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშნა სალაჰ ბუშირი, თავდაცვის მინისტრის პოსტი დაიკავა პოლკოვნიკმა ადამ ალ-ჰაუვაზმა. შინაგან საქმეთა მინისტრი გახდა პოლკოვნიკი მუსა აბმადი, იუწყებიან აგრეთვე, რომ ლიბიის არაბთა რესპუბლიკის რევოლუციურმა საბჭომ ლიბიის არმიის მთავარსარდლად დანიშნა პოლკოვნიკი მოამარ ალკადაფი.

პირველი სამოქალაქო მთავრობა

აკრა, 8 სექტემბერი. (საკდესი). როგორც განა ნიუსის სააგენტო იუწყება, ახალმა პრემიერ-მინისტრმა კ. ა. ბუსიამ გამოაცხადა თავისი კაბინეტის შემადგენლობა. საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშნულია ვიქტორ ოვუსუ, ფინანსთა, ეკონომიკისა და დაგეგმვის მინისტრად — ჯ. ბ. მენსი, თავდაცვის მინისტრად — ჯ. კვეხი-ლამპტი.

ეს არის განის პირველი სამოქალაქო მთავრობა 1966 წლის 24 თებერვლის სამხედრო გადატრიალების შემდეგ, რომელიც პარლამენტის საყოველთაო არჩევნების შედეგად დაინიშნა, ამ არჩევნებზე გაიმარჯვა პროგრესის პარტიამ კ. ა. ბუსიას მეთაურობით.

საერთაშორისო სემინარი

ვარშავა, 9 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ მენძიშინში, ვარშავის მახლობლად, გაიხსნა კოოპერატორთა საერთაშორისო სემინარი, რომელიც მოაწყვეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განყოფილებამ (ეუნეგა) და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრმა კოოპერაციულმა საბჭომ. სემინარის მუშაობაში, რომელიც ეძღვნება კოოპერაციული მოძრაობის როლს საზოგადოების საზოგადოებრივ-პროფესიულ აქტივიზაციაში, მონაწილეობენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის, იუნესკოს, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციათა და საერთაშორისო კოოპერაციული ალიანსის წარმომადგენლები, აგრეთვე მსოფლიოს 17 ქვეყნის დელეგაციები. საბჭოთა დელეგაციას მეთაურობს მოსკოვის კოოპერაციული ინსტიტუტის რექტორი ვ. ი. ხორინი.

კომკიდუ ბონში ჩავიდა

ბონი, 9 სექტემბერი. საკდესის კორესპონდენტი ი. ბორისოვი იუწყება:

დასავლურ გერმანიის დედაქალაქში ჩამოვიდა საფრანგეთის პრეზიდენტი პომიდუ. ორი დღის მანძილზე იგი პოლიტიკურ მოლაპარაკებას აწარმოებს აკ კანცლერ კიზინგერთან.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობამ ადრევე გადაგვრით აგრძნობინა თავის სტუმრებს, რომ მოლაპარაკების ყურადღების ცენტრში ისინი აპირებენ დააყენონ დასავლეთ ევროპის „პოლიტიკური გაერთიანების“ თვისი გეგმა. პრეზიდენტის პოსტიდან გენერალ დე გოლის წასვლის შემდეგ ბონში იმედოვნებენ, რომ ძირეულად შეიცვლება საფრანგეთის დამოუკიდებელი საგარეო და სამხედრო პოლიტიკა. ამ მიზნით რაინზე სურთ ისარგებლონ საფრანგეთის ახლანდელი სავალუტო ეკონომიური სიძნელეებითაც. უარყოფს რა დასავლეთ გერმანიის მარკის რევალვაციას (კურსის ამაღლებას), გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა ძირს უთხრის ფრანკის პოზიციას და ამას იყენებს პარიზის ზემოქმედების ძლიერ იარაღად.



პოლიტიკა კარიკატურაში

ამერიკელი იმპერიალისტები განაგრძობენ ომის ესკალაციას ვიეტნამში, პარიზის თათბირზე კი უტიფრად გაიძახიან „ჩვენ მშვიდობას ვესწრაფვითო“.

(გაზეთებიდან).

დიპლომატიური გუდა-სტვირი.

ნახ. ბ. აბრამოვისა.

ბოლოდ ფაქტები

ცვლეს ლიბიის რესპუბლიკა

პარაღა, 8 სექტემბერი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობამ ცნო ლიბიის არაბთა რესპუბლიკის რევოლუციური საბჭო.

გაათავისუფლეს პეარიკის ელჩი

ნიუ-იორკი, 8 სექტემბერი. (საკდესი). ამერიკის ელჩი ბრაზილიაში ბერკ ელბრიკი, რომელიც ამას წინათ მოიტაცეს, გუშინ სალამოს გაათავისუფლეს დაახლოებით 7 საათის შემდეგ, რაც 15 ბრაზილიელი პოლიტიკური პატიმარი მეკსიკაში ჩაიყვანეს მისი გამოსყიდვის შეთანხმების საფუძველზე, იუწყება ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი რიო-დე-ჟანეიროდან. მომტაცებლებს ელჩი დაპატიმრებული ჰყავდათ 78 საათის განმავლობაში. ისინი ელოდნენ, სანამ ბრაზილიის ხელისუფალნი არ შეასრულებდნენ თავის დაპირებას და არ გაათავისუფლებდნენ პოლიტიკურ პატიმართა ჯგუფს.

სამხედრო მანევრები

ბონი. 8 სექტემბერი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის და კვემო საქსონიის (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა), მხარეთა ვრცელი რაიონები ახლა საომარი მოქმედების ასპარეზს გვაძლევ. გზებზე მოდიან ავტომანქანების, ტანკების და ჯავშანტრანსპორტიორების კოლონები, აქ იყრიან თავს და პოზიციებს იკავებენ საარტილერიო და ქვეითი ჯარის ნაწილები.

დღეს დაიწყო ბუნდესვერის უდიდესი საშემოდგომო მანევრები, რომლის საკოდო სახელწოდებაა „მხედრის დიდი სვლა“. მანევრები ეწყობა ილცენის, ბრაუნშვაიგის, გეტინგენისა და ფულდის რაიონებში. ბუნდესვერის შენაერთებთან ერთად მანევრებში მონაწილეობენ ამერიკის ნაწილები და ნატოს სხვა ქვეყნების ნაწილები.

მიწისძვრა იაპონიაში

ტოკიო, 9 სექტემბერი. (საკდესი). დღეს იაპონიის აღმოსავლეთი, ცენტრალური და დასავლეთ ნაწილებში მოხდა მიწისძვრა. მიწისქვეშა ბიძგები იგრძნობოდა ტოკიოში, ოსაკაში, ნაგოიში, გიფუში, სიძოუკასა და ჩიბინის მთელ რიგ სხვა ქალაქებში. კიოდო ცუსინის სააგენტოს ცნობით ნაგოიში მიწისქვეშა ბიძგების ძალა 4 ბალს აღწევდა მშვიდობიანი სკალით.

ეროვნული ბანკი-ოლიგარქია

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲘ
ᲞᲝᲡᲝᲕᲔᲑᲐ ᲮᲝ ᲨᲘ ᲛᲘᲜᲡ

ჰანოი, 9 სექტემბერი. საკდესის კორესპონდენტი ს. აფონინი გვატყობინებს:

დღეს დილით ჰანოის ბადინის მოედანზე გაიმართა ამხანაგი ხო ში მინთან გამოთხოვების სამგლოვიარო ცერემონია.

მოედანი ხალხით იყო გაჭედილი.

ტრიბუნაზე ამხანაგ ხო ში მინის სამგლოვიარო არშიშემოვლებული დიდი პორტრეტის ქვეშ დამწყობილნი დგანან ვიეტნამის შრომელთა პარტიის, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის, ვიეტნამის ეროვნული კრების, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის, ვიეტნამის სამამულო ფრონტის, ვიეტნამის სახალხო არმიის, სამხრეთ ვიეტნამის დელეგაციათა მეთაურებთან ერთად, რომლებიც ჰანოიში ჩამოვიდნენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან სამგლოვიარო ცერემონიაში მონაწილეობის მისაღებად.

საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის მეთაური, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი და საბჭოთა დელეგაციის წევრები სამძიმარს ეუბნებიან ვიეტნამელ ამხანაგებს ვიეტნამის შრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის ხო ში მინის — საბჭოთა კავშირის დიდი და ერთგული მეგობრის გარდაცვალების გამო.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქში შეჩერებულია მუშაობა მშენებლობებზე, საწარმოებში, დაწესებულებებსა და სასწავლებლებში. ჰანოის მცხოვრებლები ამ წუთებში რამროდუტორებთან დგანან. ყველა ბადინის მოედანს უსმენს.

სამხედრო ორკესტრი ასრულებს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნსა და სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის ჰიმნს.

ვიეტნამის შრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით გამოსათხოვარ სიტყვას ამბობს ვიეტნამის შრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ტოდორ ჟივკოვი, სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარე გიორგი ტრაიკოვი, სხვა ბულგარელი ხელმძღვანელები, საბჭოთა კავშირის სპეციალისტები, ბულგარეთის ხოციალისტური რევოლუციის 25 წლისთავის გამო დღეს აქ გაიმართა სამხედრო პარადი და შრომელთა დემონსტრაცია. გიორგი დიმიტროვის მავზოლეუმის ტრიბუნაზე იყვნენ ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ტოდორ ჟივკოვი, სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარე გიორგი ტრაიკოვი, სხვა ბულგარელი ხელმძღვანელები, საბჭოთა კავშირის სპეციალისტები, ბულგარეთის ხოციალისტური რევოლუციის 25 წლისთავის გამო დღეს აქ გაიმართა სამხედრო პარადი და შრომელთა დემონსტრაცია. გიორგი დიმიტროვის მავზოლეუმის ტრიბუნაზე იყვნენ ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ტოდორ ჟივკოვი, სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარე გიორგი ტრაიკოვი, სხვა ბულგარელი ხელმძღვანელები, საბჭოთა კავშირის

პარადი და დემონსტრაცია სოფიაში

სოფია, 9 სექტემბერი. (საკდესის კორ.). ბულგარეთის ხოციალისტური რევოლუციის 25 წლისთავის გამო დღეს აქ გაიმართა სამხედრო პარადი და შრომელთა დემონსტრაცია. გიორგი დიმიტროვის მავზოლეუმის ტრიბუნაზე იყვნენ ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ტოდორ ჟივკოვი, სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარე გიორგი ტრაიკოვი, სხვა ბულგარელი ხელმძღვანელები, საბჭოთა კავშირის

იზრდება საფრანგეთის კომუნისტური პარტიის რიგები

ბარიზი, 9 სექტემბერი. (საკდესი). გაზეთ „ლუმანიტეს“ დღესასწაულის დროს, რომელიც 6 და 7 სექტემბერს გაიმართა, საფრანგეთის კომუნისტური პარტიისა და კომუნისტური ახალგაზრდობის მოძრაობის რიგებში, როგორც „ლუმანიტე“ წერს, შევიდა ხუთი ათასი ახალი წევრი.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘᲡ ᲑᲚᲝᲙᲜᲝᲢᲘᲓᲐᲜ

ᲑᲠᲐᲜᲘᲩᲘᲡ ᲒᲖᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲮᲘᲠᲕᲐᲚᲘ ᲒᲣᲚᲘ

ბულგარელი ხალხის საამაყო შვილი ვასილ კოლაროვი წერდა: „მე არ ვიცი მსოფლიოში მეორე ისეთი ქვეყანა, სადაც სახალხო სიცვარული და მადლობა სხვა ხალხებისადმი ისე იყოს განსხვავებული აგრერიგად. მრავალფეროვან, წმიდად შენახულ და ღირსებით გარემოსილ ძეგლებში, როგორც ეს ბულგარეთშია, სადაც ყოველი ქალაქი, პარკი, ბორცვი, ყოველი მტკაველი მიწა მოწმობს ბულგარელი ხალხის უსაზღვრო სიყვარულსა და მადლიერებას თავგანაბეჭდილ ადამიანურ ელემენტებისადმი“. ეს სიტყვები, უწინარეს ყოველისა, დიდი რუსი ხალხისადმი არის მიმართული. მაგრამ, როგორც იტყვიან, ასჯერ გაგონილს ერთხელ ნანახი სჯობია. მეც ერთხელ ვიყავი ბულგარეთში, მაგრამ მყისვე დავწუნდი ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში.

ჩვენი ტურისტული ჯგუფი, რომელიც სსრ კავშირის სხვადასხვა ქალაქის უმაღლესი პარტიული სკოლების და სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის პროფესორ-მასწავლებლების, მსმენელებისა და კურსდამთავრებულებისაგან შედგებოდა, მოსკოვიდან ბულგარეთში გავფრინდა.

მასპინძლობა სოფიის უმაღლესი პარტიული სკოლის ხელმძღვანელობამ იკისრა და საინტერესო მარშრუტიც შემოგვთავაზა. თოთხმეტი დღის მანძილზე მუდამ ჩვენთან იყვნენ ამ სკოლის მასწავლებლები — რ. ბოკალოვი, ხ. კუმანოვი და ჩუმი, მორიდებული, თავაზიანი მძღოლი მილე (გვარი არც გვიკითხავს, ყვიანანი სახელს ვეძახდით). მისმა კომფორტაბელურმა ავტობუსმა მთელი ბულგარეთი დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ გადასერა და 2.050 კილომეტრი უხიფათოდ გავვლტარა.

სოფიასა თუ პლოვდივში, ყაზანლიკსა თუ ველიკო ტირნოვოში, ტირგოვიშტესა თუ ვარნაში, ნესებრში, ბალჩიკში, განსაკუთრებით კი შიპკასა და პეტვენში იგრძნობოდა საბჭოთა მოქალაქეებისადმი უღრმესი, გულწრფელი პატივისცემა. ეს გასაგებია, რადგან სწორედ აქ აქციეს ნაცარტუტად თურქეთის ხუთასაუკუნოვანი უღელი სახელოვანმა რუსმა მებრძოლებმა და თავიანთი სიცოცხლის ფასად ბულგარელი ხალხი მონობისაგან იხსნეს.

თუ პლევენი არ გინახავს, ნუ იტყვი, რომ ჩვენს ქვეყანაში ყოფილხარ — ამბობენ ბულგარელები. და მართლაც, პლევენი ქალაქი-მუზეუმია, დიდი ბრძოლების მოწმე და ათასობით გმირის საძვალე, ბულგარელი და რუსი მებრძოლების დიდების სარბიელი. ამ უწმიდეს ადგილებში სხვადასხვა დროს ყოფილან საბჭოთა კოსმონავტები ი. გაგარინი, ვ. ტერეშკოვა და ვ. ბიკოვსკი. მსოფლიოში პირველმა კოსმონავტმა შთაბეჭდილებათა წიგნში ასეთი ჩანაწერი დატოვა: „სამარადისო დიდება თქვენ, რომლებიც დაეცით ბულგარელი ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლებში. ცოცხლები თქვენ არ დაგივიწყებენ“.

პლევენში მრავალი სამშო საფლავია, მაგრამ მათ შორის ყველაზე შთაბეჭდავია გენერალ სკობელევის (რუსი სარდალი 1877 წლის ომში) სახელობის პარკში მაღლობზე აზიდული სამშო საფლავი-აკლდამა. იგი, უზარმაზარი ქვებით შემოყოროლი, ბარადწვანე მხვიარა მცენარეებით შებურული, ნამდვილი ზარბაზნებით არის დამშვენებული. ზიგნით შავი მარმარილოს აკლდამაა წარწერით: „ბულგარელო, მდაბლად დახარე. თავი და პატივი ეცი რუსი ძმების ხსოვნას, რომლებიც დაიღუპნენ ჩვენი თავისუფლებისათვის.

აქ ბულგარელი ხალხი წმიდად ინახავს ყოფილ ელ ვნირთა ძვლებს თაობებისათვის... მათი საქმე უკვდავია“.

ხოლო როცა შიპკის მაღლობზე 999-საფეხურიან კიბეს შეუყვები, გზადაგზა მრავალგზის წაიკითხავ: „ეს წმიდათაწმიდა ადგილია“.

იმვითი ძეგლებით არის დამშვენებული ფაშისტებთან ბრძოლის ადგილებიც. ისინი ცოცხალი მოწმეებივით მოგვითხრობენ გარდასულ დღეთა გმირობის სწორუპოვარ ამბავს. ასე უკვდავყოფენ ბულგარელები გმირთა ხსოვნას.

უცხოეთში რომ ხარ, აკვირდები თუ რითი ჰგავს ან განსხვავდება ესა თუ ის ქვეყანა შენი სამშობლოსაგან, გაინტერესებს ხალხის ცხოვრების ყველა სფერო.

ᲛᲮᲘᲠᲕᲐᲚᲘ ᲒᲣᲚᲘ

უწინარეს ყოვლისა, რამდენიმე სიტყვა ბულგარეთზე საერთოდ. 9 სექტემბერს ბულგარელმა ხალხმა დიდი ზეიმით აღნიშნა სახალხო რესპუბლიკის 25 წლისთავი ანუ, როგორც აქ ამბობენ, განთავისუფლების დღე. ეს პერიოდი მცირე მონაკვეთია ბულგარეთის ისტორიაში, მაგრამ მთელ საუკუნეებს უტოლდება. თვითონ განსაჯეთ: ამ 25 წლის წინათ ბულგარეთი ღატაკი, აგრარული ქვეყანა იყო, ახლა კი ინდუსტრიული სახელმწიფოა. სამრეწველო პროდუქციის გამოშვება აქ თითქმის 30-ჯერ გაიზარდა. აი რას ნიშნავს ეს — ამჟამად რესპუბლიკის მრეწველობა 10 დღეში უმზეზს იმდენ პროდუქციას, რამდენიც მთელ 1939 წელს გამოუშვა.

მთავარი ყურადღება ამჟამად მიმართულია საზოგადოებრივი მეურნეობის ინტენსიური განვითარებისაკენ, რასაც ხელს უწყობს ამას წინათ გატარებული ეკონომიური რეფორმა.

მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული სოფლის მეურნეობაში. კოოპერატივებმა და სახელმწიფო მეურნეობებმა ორჯერ გაზარდეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება.

საქვეყნოდ გაითქვა სახელი მეგვნახეთა მეგობარმა — მცირეგაბარიტანმა უნივერსალურმა ტრაქტორმა „ბოლგარმა“. სხვათა შორის, მისი ახალი ნიმუშები გამოცდას გადიან საქართველოში. „ბოლგარის“ დანერგვა ჩვენს პირობებში დიდად შეუწყობს ხელს ქართველ მეგვნახეთა შრომისნაყოფიერების გადიდებას.

იტალიელ მოქალაქეს ბარჩელიონ ზოზენას აღფრთოვანებით უთქვამს: „საჭირო რომ გახდეს მეორე საომბოლოს არჩევა, უყოყმანოდ ბულგარეთს დავასახელებდი“. თუმცა ვის არ მოხიბლავს ეს ზღაპრული ქვეყანა, მაგრამ მე არ მომსვლია თავში ასეთი აზრი. ალბათ იმიტომ, რომ ბულგარეთი ძალიან ჰგავს საქართველოს: ისეთივე გმირული წარსული და დიდებული ბუნება; ისეთივე ისტორიული ძეგლები და უძველესი კულტურა; მდიდარი ლიტერატურა და ხელოვნება და, რაც მთავარია, ქართველივითვე გულადი, პურადი, შრომისმოყვარე, ნიჭიერი ერი.

ქართველი და ბულგარელი ხალხების ურთიერთობას შორეული ფესვები აქვს. მოვიგონოთ თუნდაც XI საუკუნეში გრიგოლ ბაკურიანის მიერ აშენებული პეტრიწონის დიდებული მონასტერი ღვთისმშობლის მიძინების ტაძრით და იოანე პეტრიწის სკოლის ფასდაუდებელი მოღვაწეობა. ამჟამად ეს მონასტერი ბაჩკოვის სახელით არის ცნობილი.

სამამულო ომის დროს არაერთ ქართველს დაუღვრია სისხლი და სიცოცხლე შეუწირავს მოძმე ხალხის გასადამშვიდებლად. ოთმეა ვის

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘᲡ ᲑᲚᲝᲙᲜᲝᲢᲘᲓᲐᲜ

ᲛᲮᲘᲠᲕᲐᲚᲘ ᲒᲣᲚᲘ

ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲐᲨᲘ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲒᲐᲜᲐᲒᲠᲫᲝᲑᲔᲜ ᲘᲛᲘᲡ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲐᲡ ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲗ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘ ᲨᲔᲣᲠᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲜᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲗᲮᲝᲕᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲒᲚᲝᲕᲘᲐᲠᲝ ᲪᲔᲠᲔᲛᲝᲜᲘᲐᲡ ᲓᲠᲝᲡ.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ

ᲐᲙᲠᲐ, 8 სექტემბერი. (საკდესი). როგორც განა ნიუსის სააგენტო იუწყება, ახალმა პრემიერ-მინისტრმა კ. ა. ბუსიამ გამოაცხადა თავისი კაბინეტის შემადგენლობა. საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშნულია ვიქტორ ოვუსუ, ფინანსთა, ეკონომიკისა და დაგეგმვის მინისტრად — ჯ. ბ. მენსი, თავდაცვის მინისტრად — ჯ. კვეხი-ლამპტი.

ეს არის განის პირველი სამოქალაქო მთავრობა 1966 წლის 24 თებერვლის სამხედრო გადატრიალების შემდეგ, რომელიც პარლამენტის საყოველთაო არჩევნების შედეგად დაინიშნა, ამ არჩევნებზე გაიმარჯვა პროგრესის პარტიამ კ. ა. ბუსიას მეთაურობით.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ᲘᲠᲚᲐᲜᲓᲘᲣᲠᲘ ᲙᲐᲚᲔᲘᲓᲝᲡᲙᲝᲠᲘ

ᲘᲠᲚᲐᲜᲓᲘᲐ კუნძულია ატლანტის ოკეანეში. ფართობი 83 ათასი კვადრატულ კილომეტრს შეადგენს. ირლანდიელები ამ კუნძულს უწოდებენ ერინს, ე. ი. დასავლეთს, საიდანაც წარმოიშვა თვით ტომის სახელიც — ირი. ინგლისელებმა კუნძულს უწოდეს ირლანდია — ირების ქვეყანა.

ᲘᲠᲚᲐᲜᲓᲘᲐ პოლიტიკურად ორ ნაწილად იყოფა: ჩრდილოეთი ირლანდია (ანუ ინგლისის პროვინცია ოლსტერი), ფართობი 14 ათასი კვადრატული კილომეტრი, მოსახლეობა 1.3 მილიონი, და საკუთრივ ირლანდია, ფართობი 69 ათასი კვადრატული კილომეტრი, მოსახლეობა 3 მილიონი.

ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗᲘ ირლანდიაში ჯერ კიდევ XVII საუკუნის შუახანებში მოხდა მიწების მასობრივი კონფისკაცია და ამ მიწებზე ინგლისელი სამხედრო კოლონისტები დასახლდნენ. მრეწველობა აქ უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე დასავლეთ ირლანდიაში. დედაქალაქია ბელფასტი (მოსახლეობა 451 ათასი, 1953 წლის აღწერით), რომელიც გემთმშენებლობისა და სელის მრეწველობის დიდი ცენტრია.

საქართველოს ეთა და ბაზეში

ხალხთა მეგობრობის დროშით

საქართველოში საფრანგეთის დღეების შესახებ

საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოების კავშირისა და საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის საზოგადოების შეთანხმების საფუძველზე ყოველწლიურად როგორც ჩვენში, ისე საფრანგეთში იმართება ორივე სახელმწიფოს დღეები.

ასეთი ღონისძიება ეხმარება ორივე ქვეყნის ხალხებს უფრო ახლოს გაიცნონ ერთმანეთის წარსული, აწმყო, კულტურა, ხელოვნება.

16 სექტემბერს საქართველოში იწყება საფრანგეთის დღეები, რაც გაგრძელდება 26 სექტემბრამდე. ამ დღეებში მონაწილეობის მისაღებად თბილისში ჩამოდის საფრანგეთის დელეგაცია. საფრანგეთ-სსრ კავშირის საზოგადოების პრეზიდენტთა საბჭოს წევრის როლან ლერუას ხელმძღვანელობით. დელეგაციის შემადგენლობაში არიან ეროს დეპარტამენტის გენერალური მრჩეველი შარლ ალიეესი, ჟ. ბაიონის ბასკური მუზეუმის დირექტორი ჟან არიჩელარი.

საფრანგეთ-სსრ კავშირის საზოგადოებამ და მისმა ფილიალებმა, აგრეთვე ეროს დეპარტამენტმა საფრანგეთის დღეებისათვის საქართველოში გამოგზავნა ფოტოსურათების, რეპროდუქციებისა და ბავშვთა ნამუშევრების გამოფენები, დოკუმენტური კინოფილმები და სხვა მასალები.

16 სექტემბერს ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის დიდ დარბაზში საზეიმო ვითარებაში გაიხსნება საფრანგეთის დღეები საქართველოში. სიტყვით გამოვლენ სსრ კავშირ-საფრანგეთის საზოგადოების საქართველოს განყოფილების თავმჯდომარე, აკადემიკოსი ი. ვეკუა, ბატონი რ. ლერუა და სხვ. სხდომის დამთავრების შემდეგ გაიმართება ფრანგული კამერული მუსიკის კონცერტი. ამავე დღეს პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სახახლეში გაიმართება ფრანგ ბავშვთა ნამუშევრების გამოფენის გახსნა.

კინოთეატრ „ამირანში“ 16 სექტემბრიდან დაიწყება ფრანგული კინოს კვირეული, მაყურებლები გაეცნობიან ფრანგული კინოხელოვნების საუკეთესო ნამუშევრებს.

19-20-21 სექტემბერს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის კოლექტივი მაყურებელს უჩვენებს ფრანგი დრამატურგების ნაწარმოებებზე შექმნილ სპექტაკლებს: ლაბიშის — „ჩალის ქუდს“, მოლიერის — „გააზნაურებულ მდგომის“, ანუის — „ანტიგონეს“.

20 სექტემბერს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების შენობაში მოეწყობა ფრანგული ფოტოსურათებისა და რეპროდუქციების დემონსტრირება. აქ ფოტოსურათებზე დამთვალიერებლები გაეცნობიან საფრანგეთის მეღვინეობას, სამხრეთ ალპების სათხილამურო ბაზებს, ბასკურ ფოლკლორსა და ცეკვებს, ეროს დეპარტამენტის არქეოლოგიურ გათხრებს. ამ ფოტომასალების მიწოდებაში საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის საზოგადოებას დახმარება გაუწია ზემო ალპების სათხილამურო ბაზების საზოგადოებამ.

გამოფენაზე დემონსტრირებული იქნება მოქანდაკე ხალანდრის რეპროდუქციები, აგრეთვე მეთევზეობის სიუჟეტზე შექმნილი რამდენიმე რეპროდუქცია.

16 სექტემბრიდან მთელი ათი დღის განმავლობაში საქართველოს რადიოთი და ტელევიზიით გადმოცემული იქნება ფრანგული მუსიკა, ფრანგი დრამატურგების სპექტაკლები, ლექციები, საუბრები საფრანგეთის კულტურაზე, ხელოვნებაზე.

საფრანგეთის დღეებთან დაკავშირებით საქართველოს კ. მარქსის სახელობის რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში გაიხსნება ფრანგული წიგნის გამოფენა.

ფრანგი სტუმრები მონაწილეობას მიიღებენ საფრანგეთის დღეებისადმი მიძღვნილ ყველა ღონისძიებაში. ისინი დაათვალიერებენ ჩვენს დედაქალაქს, მის ღირსშესანიშნაობებს. გაემგზავრებიან მცხეთაში, რუსთავში, ბათუმში, ჩაატარებენ ლექციებს სსრ კავშირ-საფრანგეთის საზოგადოების საქართველოს განყოფილების წევრებთან, აგრეთვე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში და უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის ფრანგული ენის ფაკულტეტზე.

გამარჯობა, სკოლა!

ასე ეწოდა ქალაქ თბილისის პროფტექნიკური და ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა დიდ დღესასწაულს, რომელიც კიკვიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში გაიმართა.

პარკში მოეწყო მასობრივი სეირნობა, სპორტული ასპარეზობანი, ლიტერატურული ვიქტორინები.

სასწავლო წლის დაწყებისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე რესპუბლიკის ყველა კუთხიდან ჩამოსულ პირველკურსელებს, რომლებიც საქართველოს მუშათა კლასის ღირსეული ცვლა უნდა გახდნენ, სწავლის დაწყება მიეულოცეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ მ. ჩინლაძემ, კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის ნოვატორმა მუშამ, სოციალისტური შრომის გმირმა შ. ფირცხალავამ, სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის მუშამ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ც. კვირკაშვილმა, 112-ე საშუალო სკოლის მოსწავლემ ნ. კოპაძემ, № 31 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორმა გ. ბოგვერაძემ, № 6 პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლემ თ. სამხარაძემ.

დასასრულ გაიმართა დიდი კონცერტი. (საქდესი).

დილა რიწის ტბაზე.

ფოტო ბ. სოკოლოვისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

სეზონის გახსნის წინ

გელით თბილისის ცირკი

დღეს, 10 სექტემბერს, თბილისის სახელმწიფო ცირკი თავის ახალ სეზონს ხსნის. რით იქნება იგი საინტერესო? ამ კითხვით მიმართა თბილისის სახელმწიფო ცირკის დირექტორს, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ი. გეფნერიძეს „კომუნისტის“ კორესპონდენტმა.

— წლევანდელი სეზონი განსაკუთრებული ჩვენთვის, — თქვა ი. გეფნერიძემ, — მამაც ხელოვნების ოსტატებს წელს დიდი ზეიმი აქვთ. საბჭოთა ცირკი თაავისი არსებობის 50 წლისთავის იუბილეს გადაიხდის. ეს ამბავი, რა თქმა უნდა, მთელი სამამულო ხელოვნების ზეიმია და ჩვენც მეტს გვიკეთებს, გვსურს ღირსეული საჩუქარი მოვუმზადოთ საბჭოთა საქართველოს 50 წლის იუბილესაც. უკვე დაწერილია სპეციალური სცენარი ქართული ცირკის კოლექტივისათვის, რომელსაც რესპუბლიკის საიუბილეო დღეებში ვიჩვენებთ მაყურებელს.

ქართული ცირკის კოლექტივი საიუბილეო სეზონს ოდესაში გახსნის. გასტროლები ექნება აგრეთვე საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქში და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1971 წლის თებერვალში წარსდგება თბილისელი მაყურებლის წინაშე. სსრ კავშირის ცირკის შერეულმა კოლექტივმა პროგრამაში შეიტანა ქართული ცირკის რამდენიმე ნომერი, რომელებსაც საფრანგეთში, ჰოლანდიასა და ბელგიაში უჩვენებს.

რამდენიმე წლის წინათ თბილისის ცირკის მოყვარულებმა გულთბილად მიიღეს საბჭოთა ცირკის სახელგანთქმული წარმომადგენლები მარიცა და ვალტერ ზაპაშნები. მათი პროგრამა გარეულ ცხოველებთან მართლაც რომ საინტერესოა.

წელს ვ. და მ. ზაპაშნები კვლავ გვეწვევიან და სეზონსაც ისინი გახსნიან.

შემდეგ ველოდებით საცირკო კოლექტივ „ნივიდიმკას“, მისი ხელმძღვანელი ო. ბელოუსოვი გახლავთ.

უთუოდ დიდ ინტერესს გამოიწვევს საბჭოთა საცირკო ხელოვნების ახალგაზრდა ოსტატთა ჯგუფის სტუმრობა. ეს არის საუკეთესო საცირკო ანსამბლი, რომელიც წარმატებით გამოდის ჩვენი ქვეყნის მრავალ ქალაქში.

თებერვალში ველოდებით ძალიან საინტერესო კოლექტივს მოსკოვიდან — „ცირკი წყალზე“. ეს იქნება გრანდიოზული სანახაობა. მთელი წარმოდგენა წყლით დაფარულ არენაზე გაიმართება. წარმოდგენა დადგა მ. ვარპახოვსკიმ. სხვათა შორის იგი წლების მანძილზე მუშაობდა თბილისის გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო თეატრში და საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება აქვს მინიჭებული.

„ცირკი წყალზე“ ჩვენთან სეზონის ბოლომდე დარჩება.

გაზაფხულზე ნაგარაუდევია საცირკო კოლექტივების ჩამოსვლა ბოლნისეთიდან და ავსტრიიდან.

აი მოკლედ ჩვენი გეგმების შესახებ. ვეცადეთ მომზადებული შეეხვედროდით სეზონს. მაყურებელთა უკეთ მომსახურების მიზნით შენობაში მოეწყო გასახდელები, დაიდგა ბუფეტი, საგაზეთო კიოსკი.

დღეს პირველი წარმოდგენაა. მოგრძანდით, გელით!

სურათზე: ვალტერ ზაპაშნი თავის „მეგობართან“ ერთად.

სხვა გაზეთებიდან

ცოლმა კიძულა

პორტუგალიელი ფეხბურთის მსაჯი ხოზე აგენდოლა სახუმრად როდი აიღელვეს ანონიმურმა წერილებმა, რომლებშიც მას მოკვლით ემუქრებოდნენ, თუ თავს არ დაანებებდა სამსაჯო მოღვაწეობას. აგენდოლამ დახმარებისათვის პოლიციას მიმართა. ხანგრძლივი გამოძიების შემდეგ დეტექტივებმა დაადგინეს, რომ მუქარის ბარათებს წერდა... მსაჯის მეუღლის მეგობარი ქალი. ანონიმური წერილების წერას მას აიძულებდა თვით აგენდოლას ცოლი, რომელსაც გადაწყვეტილი ჰქონდა რადაც უნდა დასჯოდოდა ფეხბურთისათვის ჩამოშორებინა ქმარი.

„ფიზკულტურა ი სპორტ“.

ბეჰემოტის ხახაში

ინგლისის ქალაქ კოვენტრის ზოოპარკში ბეჰემოტმა ჰარიმ, რომელიც საერთოდ მშვიდი ხასიათით გამოირჩეოდა, მოულოდნელად მოიტაცა ვოლიერში მყოფი ახალგაზრდა დარაჯი და აუზში ჩაითრია იგი. ბედად, მეორე მოსამსახურემ, რომელმაც იცოდა, რომ ადრე ბეჰემოტი ცირკში გამომყავდათ, მას გამოწვრთნილის მკაცრი ტონით დაუწყო ყვირილი:

— დაიღე ხახა! დაიღე ხახა!

ჰარიმ მორჩილად დაიღო თავისი უზარმაზარი ხახა და დარაჯმაც თავს უშველა.

„სოვეტსკაია ეკატერადა ი ცირკ“.

დღეს „ვინძორ-პარკის“ სტადიონზე

დღეს დიდი ფეხბურთის მოწმენი ვიქნებით. ბელფასტში, „ვინძორ-პარკის“ სტადიონზე სტარტს აიღებს სსრ კავშირის ნაკრები. ჩვენი ფეხბურთელებისათვის ეს იქნება მსოფლიო ჩემპიონატის პირველი შესარჩევი შეხვედრა ისეთ აღიარებულ გუნდთან, რომელსაც სათავეში უდგას ევროპის გასული წლის საუკეთესო ფეხბურთელი ჯ. ბესტი.

რა თქმა უნდა, თამაში პრინციპული და უკომპრომისო იქნება. თუ დავუჯერებთ ირლანდიელ ფეხბურთელთა მწვრთნელს ბ. ბინგჰემს, მის გუნდს „ვინძორ-პარკის“ სტადიონზე შეუძლია დაამარცხოს რომელიც გნებავთ გუნდი. როგორც ვხედავთ, მწვრთნელი საკმაოდ თვითდაჯერებულია, ისიც აღსანიშნავია, რომ ირლანდიელებს, გარდა „საკუთარი კედლების“ უპირატესობისა, აქტივში უკვე 4 ქულა აქვთ.

ჩვენი ფეხბურთელები რამდენიმე დღეა ბელფასტში იმყოფებიან. მათ უკვე მოაწყეს წვრთნა „ვინძორ-პარკის“ სტადიონზე, მოედანი ჩინებულია, სპორტსმენები კარგად გრძნობენ თავს, ცხადია, დღევანდელ მატჩზე ყველა მსურველი ვერ მოხვდება, რადგან სტადიონი მხოლოდ 44 ათას მაყურებელს იტევს, ყველა ბილეთი კი რამდენიმე დღით ადრე გაიყიდა.

სსრ კავშირის ნაკრების უფროს მწვრთნელს გ.